საქართველოს მთავრობის

დადგენილება №213

2024 წლის 3 ივლისი

ქ. თბილისი

„2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №529 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №529 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2023, 470000000.10.003.024362) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. №8 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა):

ა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **9 200.0 ათასი** ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ანტენატალური მეთვალყურეობა, მათ შორის:	7,406.0
1.1	სამედიცინო მომსახურება სიფილისზე ეჭვის შემთხვევაში	45.0
2	გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა	360.0
3	ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/შიდსისა და სიფილისის განსაზღვრისათვის საჭირო ტესტებითა და სახარჯი მასალებით (B ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინით) უზრუნველყოფა	150.0
4	ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიაზე, მუკოვისციდოზზე, გალაქტოზემიაზე, ადრენოგენიტალურ სინდრომსა და ბიოტინიდაზას დეფიციტზე	890.0
5	ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა	50.0
6	ახალშობილთა სმენის პირველადი სკრინინგის მიდევნების ელექტრონული სისტემის უზრუნველყოფა	100.0
7	ფარმაცევტული პროდუქტებით უზრუნველყოფა, მათ შორის:	244.0
7.1	სამკურნალო საშუალებების ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა (საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გაფორმების ხარჯები, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება და ბენეფიციარებზე გაცემა სამედიცინო დაწესებულებების/აფთიაქების მეშვეობით)	81.0
სულ:		**9,200.0**

.";

ბ) №8.4 დანართის (ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტი-ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინე-მიაზე, მუკოვისციდოზზე, გალაქტოზემიაზე, ადრენოგენიტალურ სინდრომსა და ბიოტინიდაზას დეფიციტზე, ღირებულება) ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

№	დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	ახალშობილთა მასობრივი სკრინინგი ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიაზე, თანდაყოლილ ჰიპოთირეოზზე, მუკოვისციდოზზე, გალაქტოზემიაზე, ადრენოგენიტალურ სინდრომსა და ბიოტინიდაზას დეფიციტზე (სკრინინგის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკა სისხლის ნიმუშზე)	25.0
2	ახალშობილთა მეორადი დიაგნოსტიკა ჰიპერფენილალანინემიასა და ფენილკეტონურიაზე	32.0
3	ფენილკეტონურიის მონიტორინგი – 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის	85.0
4	ფენილკეტონურიის მონიტორიგი – 1-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის	65.0
5	ფენილკეტონურიის მონიტორიგი – 3-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის	42.0
6	ფენილკეტონურიის მონიტორინგი – 7-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის	38.0
7	თანდაყოლილ ჰიპოთირეოზზე – მეორადი დიაგნოსტიკა, მონიტორინგი და მკურნალობა 0-დან 1 წლამდე ბავშვებისათვის	240.0

.".

2. №14 დანართის (ორგანოთა ტრანსპლანტაცია (ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაცია)) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **6 478.0** ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პაციენტებისთვის: მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია; ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები; ტრანსპლანტაცია (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა	5,040.0
2	ღვიძლის ტრანსპლანტაცია	1,438.0
	სულ	**6,478.0**

.".

3. №15 დანართის (დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი

რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **49 522.0 ათასი** ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ჰემოდიალიზით უზრუნველყოფა	17,140.0
2	პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა	150.0
3	ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება	29,488.0
4	თირკმლის ტრანსპლანტაცია	700.0
5	ტრანსპლანტაციის საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირების უზრუნველყოფა	50.0
6	ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა	1,929.0
7	სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა	65.0
	სულ:	49,522.0

.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**